დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგნმანათლებლო პროგრამა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 05.05.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი - 01.08.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 25

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 31

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სსიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	211349192

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაგდა მემანიშვილი შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საზოგადოებასთან ურთიერთობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Public Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი Bachelor of Public relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მარკეტინგი და რეკლამა -0414
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება MES 0 22 0000076909
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი) საფუძველზე. მისი ძირითადი მასხიათებლებია:

- სწავლების ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი);
- პროგრამის მოცულობა: 240 ECTS-ის კრედიტი. ერთი კრედიტი უდრის 25 სთ-ს. თითოეულ სემესტრში სტუდენტის დატვირთვა შეადგენს 30 კრედიტს;
- პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები: პროგრამის სტრუქტურა აერთიანებს თავისუფალ და სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტებს. ორივე კომპონენტი მოიცავს არჩევით და სავალდებულო ნაწილს. სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტში მოიაზრება სასწავლო კურსები, საბაკალავრო პრაქტიკა (სავალდებულო) და საბაკალავრო ნაშრომი (სავალდებულო)

გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია, აგრეთვე - მე-2 და მე-3 რჩევები

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის მონიტორინგის მიზნით იმყოფებოდა დაწესებულებაში 2023 წლის 5 მაისს. შეხვედრები შედგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან. მონიტორინგის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სტუ-ს ბიბლიოთეკა. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს სტუდენტთა ელექტრონული პორტალი, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძიებო სისტემას და ბაზებს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის 1, 2, 4.1 და 5 სტანდარტებთან შესაბამისობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

2021 წლის 17 დეკემბრის რეკარედიტაციის დასკვნაში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები

1. აუცილებელია სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეივსოს უახლესი გამოცემებით/სახელმძღვანელოებით;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსები (მენეჯმენტის საფუძვლები, კომუნიკაციის მენეჯმენტი, PR და ბიზნესი, PR და რეკლამა, მარკეტინგის საფუძვლები და სხვა)და აღმოიფხვრას გადაფარვები;
3. რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს შემდეგი საკითხების სწავლება: მედიის, როგორც PR-ის ინსტრუმენტის, პროპაგანდისტული ნარატივი, სოციალური მედიის ინსტრუმენტები, მულტიმედია, მარკეტინგი და სხვა.
4. აუცილებელია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შერჩეულ იქნეს ყველა სასწავლო კურსისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების სპეციფიკის შესაბამისად;
5. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ჩატარებული დადარების შედეგებით უნდა დგინდებოდეს რა და რატომ იყო ან არ იყო

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

გაზიარებული პროგრამის მიზნებისთვის და რა გავლენა მოახდინა მიღებულმა შედეგებმა პროგრამის განვითარება-სრულყოფაზე;

6. უნივერსიტეტში დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, რომლის მეშვეობით იქნება შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, პროგრამის მიზნებს დაემატოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის და შედეგების ანალიზის და ზოგადად, კვლევების სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობა;
2. სწავლის შედეგებზე შეუფერხებლად გასვლისთვის, სასურველია, რიგ შემთხვევებში განახლდეს და გადაიხედოს სავალდებულო სახელმძღვანელოების ნუსხა.
3. სასურველია, პროგრამაში დაემატოს სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს შეასწავლის სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, აკადემიურ წიგნიერებას, აკადემიური წერის ელემენტებს და სხვ.;
4. სასურველია, ინგლისური ენის სწავლების გაღრმავება და არა არჩევითად, არამედ სავალდებულოდ შესწავლა;
5. სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის განმახორციელებლების ჩამონათვალი;
6. სასურველია, დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და დაემატოს რეცენზირება;
7. სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტიმულირების მექანიზმების შემუშავება;
8. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად და მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტულ აქტივობებს, ხოლო დეფიციტურობისას - მისი აღმოფხვრის რელევატურ ღონისძიებებს;
9. სასურველია, რომ საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს, ასევე უცხოეთის უსდების ჩართულობით მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს გარკვეული პერიოდულობით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობის შენარჩუნებას და განვითარებას;
10. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება გამოკითხვის მიზნებისა და პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

მონიტორინგის ვიზიტისას დადგინდა, რომ უსდ-მ შეასრულა პროგრამის აკრედიტაციისას გაცემული, ქვემოთმოყვანილი რეკომენდაციები და რამდენიმე რჩევა. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

2023 წელის 5 მაისს მივლინებულ მონიტორინგის ექსპერტებს არ აქვთ რეკომენდაციები, აქვთ რამდენიმე რჩევა:

- სასურველია, უსდ-ს ბიბლიოთეკის ადმინისტრაციამ გამოიჩინოს მეტი მზაობა და უკეთ ითანამშრომლოს ექსპერტებთან, რაც როგორც რეპუტაციისთვის, ისე პროგრამის განვითარებისთვის იქნება მნიშვნელოვანი;
- სასურველია, რომ პროგრამაში, ასევე უსდ-ის ვებგვერდზე არსებულ საგნმანათლებლო პროგრამების კატალოგში, ჩანართში „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები“ დაკონკრეტდეს თუ რომელი სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩაბარება მოუწევთ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. გარდა ამისა, უმჯობესი

იქნება, ამავე წყაროებში დაემატოს აღწერილობა იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ იმ პირებმა, ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აქვთ საგნმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება;

- სასურველია, რომ პროგრამამ შემდგომ განმავითარებელ ანგარიშებში მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს იმ სტუდენტების პრაქტიკის დღიურები, რომლებმაც გაიარეს პროფესიული პრაქტიკა;
- დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების უფრო მეტად განსავითარებლად, სასურველია, სამომავლოდ დაიგეგმოს ექსტრაკურიკულური აქტივობები;
- „წიგნზე მუშაობა“, როგორც ცალკე მეთოდი, სასურველია, რომ მითითებული იყოს პროგრამაშიც და სილაბუსებშიც;
- სასურველია, პროგრამამ შეიმუშავოს დოკუმენტი შეფასების მეთოდების შესახებ;
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსები იძლეოდნენ განარტებას კურსის განმავლობაში შესასრულებელი დავალებების რაობის შესახებ;
- გარე ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასებისას უმჯობესია ჩანდეს მის მიერ დაწერილი ანალიზი, აგრეთვე გაცემული რჩევები, რაც აისახება პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებულ ცვლილებებში;
- სასურველია, რომ პროგრამაში ჩართული და დაინტერესებული პირების გამოკითხვისას არ იყოს დაფიქსირებული ცალსახად დადებითი პასუხები, ჩანდეს მათ მიერ გაცემული რჩევები, რომლებიც პერიოდულად აისახება პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებულ ცვლილებებში;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

2023 წლის 27 ივლისს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გამოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით (წერილი # MES 4 23 0000936961). დაწესებულება სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში დაფიქსირებულ მოსაზრებებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგამდე არსებული მდგომარეობა: 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 1.1. ქვესტანდარტს დადებითად აფასებს, პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით არ არის გაცემული რეკომენდაციები.

საბაკალავრო პროგრამის „საზოგადოებასთან ურთოერთობა“ მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია სფეროს ამჟამინდელ გამოწვევებთან. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკრედიტაციისას ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონია.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომლიც გახლავთ „მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა“.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყანაში არსებული დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, თანამედროვე ცოდნითა და საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პროფესიონალის მომზადება. ამ მიზნის უკეთ მიღწევისათვის ქვესტანდარტის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული რჩევა:

- სასურველია, პროგრამის მიზნებს დაემატოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის და შედეგების ანალიზის და ზოგადად, კვლევების სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობა.

რჩევის გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია დაწესებულებას არ მოუწოდებია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ დაწესებულებას ეს რჩევა არ გაუთვალისწინებია, რაც პრობლემას არ წარმოადგენს.

პროგრამის მიზნების უკეთ ფორმირებისათვის დაწესებულება პერიოდულად ატარებს ბაზრის კვლევას, რომლის შედეგებსა და გამოწვევებსაც ეყრდნობა საგანმანათლებლო პროგრამა. წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ერთვის ორი ასეთი კვლევა (2021 და 2023 წწ), რაც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს დაინახოს შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევები დინამიკაში და, შესაბამისად, მოარგოს მათ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები რაც, უდავოდ, დადებითად აისახება პროგრამის განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბაზრის კვლევები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განხორციელებულ მონიტორინგამდე არსებული მდგომარეობა: 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეფასებულია დადებითად, არ არის გაცემული რეკომენდაციები.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის ჩამოყალიბებას, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა უზრუნველყოფს შემდეგი კომპეტენციების განვითარებას კურსდამთავრებულებში:

- კურსდამთავრებული აღწერს საზოგადოებასთან ურთიერთობის/სტრატეგიული კომუნიკაციის ძირითად პრინციპებს და პროცესებს, PR სტრატეგიისა და ტაქტიკის, კვლევის, დაგემვისა და მართვის პროცესებს, PRკამპანიების, ღონისძიებების მომზადების და ჩატარების უახლეს მეთოდებს, პრინციპებსა და ინსტრუმენტებს, როგორც ბიზნესის, ასევე პოლიტიკის, ტურიზმის და კულტურის სფეროებში, ძირითად ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ თეორიებს.
- კურსდამთავრებული განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სფეროში არსებულ მიზნებს, ამოცანებს, განვითარების ტენდენციებსა და პერსპექტივებს, PR-ისა და მედიის ურთიერთმიმართების ფორმებს და მთავარ მიმართულებებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში კვლევის თავისებურებებსა და ეტაპებს. ხსნის განსხვავებას საზოგადოებასთან ურთიერთობას, ბრენდინგს, მარკეტინგს, სტრატეგიულ კომუნიკაციებსა (PR) და რეკლამას შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს, ასევე მათი გამოყენების თანმიმდევრობას და პროცესების მართვის კურსს, PR - ღონისძიებების წარმართვის შესაძლებლობებს; ფილოსოფიის, ზოგადი ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის ზოგად პრინციპებს.
- კურსდამთავრებული განასხვავებს PR - ღონისძიებების ფორმებს და ტიპოლოგიურ თავისებურებებს, სტრატეგიული სქემების ჩამოყალიბების თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობებს, ტაქტიკური ნაბიჯების შემუშავების ტექნოლოგიურ თავისებურებებს, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიან და ნაკლებ ეფექტიან შესაძლებლობებს.
- კურსდამთავრებული აანალიზებს საზოგადოებასთან ურთიერთობების არსს, მიზნებსა და ამოცანებს, PR კამპანიების, სარეკლამო კამპანიების დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებებს, საზოგადოებაზე რეკლამის ფსიქოლოგიური ზეგავლენის თავისებურებებს, PR-კომუნიკაციის მნიშვნელოვან პროცესებს და მათი წარმართვის აუცილებლობას.
- კურსდამთავრებული გეგმავს PR - აქციებს, PR - კამპანიებსა და ღონისძიებებს, სხვადასხვა სფეროში საჭირო ეფექტურ საკომუნიკაციო საქმიანობას და ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბების საშუალებებს მარკეტინგულ, სარეკლამო, საკომუნიკაციო და საპრომოციო კამპანიებს, პრიორიტეტულ მედია არხებთან ურთიერთობას, PR ღონისძიების შინაარსობრივ და ვიზუალურ მხარეს, მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.
- კურსდამთავრებული ამზადებს PR -ის,მარკეტინგის, რეკლამის საკომუნიკაციო სტრატეგიას სამიზნე აუდიტორიებამდე საკვანძო საინფორმაციო გზავნილების მიწოდების მიზნით, მაღალ პროფესიულ დონეზე გააზრებულ პრეზენტაციებსა და ზეპირ გამოსვლებს უმნიშვნელოვანეს პროფესიულ საკითხებზე.
- კურსდამთავრებული იყენებს აუდიტორიასთან სათანადო კონტაქტის დამყარებისა და ზემოქმედების ტექნოლოგიებს, გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე სტრატეგიებს; უცხოური ენის სასწავლო კურსით გათვალისწინებული დონის საფეხურის შესატყვის ლექსიკურ მარაგსა და სინტაქსურ სტრუქტურებს, ენის ოთხივე კომპონენტს: წერით კომპეტენციას, წაკითხულის სწორად გაგებას, სმენით აღქმას და მეტყველების წარმართვა–გაგებას.

საკმაოდ ამბიციური და მრავალფეროვანი სწავლის შედეგების მიუხედავად, პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ ზედმიწევნით შეასრულოს დასახული. კურსების სწავლის შედეგები სრულ ჰარმონიაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- მემორანდუმები განმახორციელებლებთან;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგამდე არსებული მდგომარეობა: 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში 1.3. ქვესტანდარტი შეფასებულია დადებითად, მასთან მიმართებაში არ არის გაცემული რეკომენდაციები.

უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და ეფექტური საშუალებები, რომელიც შეიცავს როგორც პირდაპირ შეფასებას, ისე - არაპირდაპირ მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის შედეგების რეალისტური და მიღწევადი სამიზნე ნიშნულები.

ასევე იკვეთება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებასა და მის სახეცვლილება/დახვეწაში აქტიურად არიან ჩართულები როგორც უნვიერსიტეტის ადმინსიტრაცია, ისე - პროფესორ-მასწავლებლები, პროგრამის განმახორციელებლები და პოტენციური დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- სამიზნე ნიშნულები;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგამდე არსებული მდგომარეობის ანალიზი: 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეფასებულია დადებითად, არ არის გაცემული რეკომენდაციები.

პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და მოცულობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი ბაკალავრიატის საფეხურის შედეგებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერსის სისტემით (ECTS) და მოცავს 240 კრედიტს. ერთი კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელშიც ითვალისწინებს როგორც საკონტაქტო, ასევე - დამოუკიდებელ სამუშაო საათებს.

პროგრამა მოიცავს თავისუფალ და სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტებს. ორივე კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან, უზრუნველყოფილია არჩევანის შესაძლებლობა. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურები მოიცავს 3 ინგლისურენოვან სასწავლო კურსს, უცხოური ენის სასწავლო კურსებს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), საწარმოო პრაქტიკას, საბაკალავრო ნაშრომსა და თავისუფალი კომპონენტის სასწვლო კურსებს.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს თავისებურებებს და აგებული იმგვარად, რომ სტუდენტმა შესძლოს თანმიმდევრული სწავლა და განვითარება მარტივიდან რთულზე.

უნივერსიტეტის მიერ შეუშავებული რეგულაციების მიხედვით, პროგრამა გადის სისტემატურ შეფასების პროცესს და ახლდება დარგის სპეციფიკის, ახალი მიღწევებისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- განმავითარებელი ღონისძებების დოკუმენტაცია;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობები .

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგის ვიზიტამდე არსებული სიტუაციის აღწერა - „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა (2022 წლის 17 დეკემბერი) განმარტავს, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა დასკვნაში აღწერილია რამდენიმე ხარვეზი, რომელთა გამოსასწორებლად პროგრამის აკრედიტაციისას ამ სტანდარტთან მიმართებაში გაცემული იყო სამი რეკომენდაცია, კერძოდ:

- აუცილებელია სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეივსოს უახლესი გამოცემებით/სახელმძღვანელოებით;
- რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსები (მენეჯმენტის საფუძვლები, კომუნიკაციის მენეჯმენტი, PR და ბიზნესი, PR და რეკლამა, მარკეტინგის საფუძვლები და სხვა) და აღმოიფხვრას გადაფარვები;
- რეკომენდებულია პროგრამაში გაძლიერდეს შემდეგი საკითხების სწავლება: მედიის, როგორც PR-ის ინსტრუმენტი, პროპაგანდისტული ნარატივი, სოციალური მედიის ინსტრუმენტები, მულტიმედია, მარკეტინგი და სხვა.

მოიტორინგის ვიზიტისას ექსპერტებმა შეისწავლეს სასწავლო კურსების სილაბუსები და გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებს, რათა შეეფასებინათ რეკომენდაციების შესრულებისათვის გაწეული სამუშაო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე სწორედ სასწავლო კურსების მრავალფეროვნებაა. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია შეესაბამება კურსის სირთულესა და მისაღწევ შედეგებს. უსდ-მ აგრეთვე წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში. შეხვედრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწვლის შედეგად დადგინდა, რომ რეკომენდაციების შესრულების მიზნით უსდ-მ რამდენიმე კურსის სილაბუსში (კერძოდ, PR-ის საფუძვლები, სოციალური კვლევის მეთოდები, საზოგადოება და კონფლიქტების მართვა, შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში, Branding-2, წერითი და ზეპირი კომუნიკაციები) განაახლა ძირითადი ლიტერატურა და შეავსო უახლესი სახელმძღვანელოებით.

უსდ-მ სილაბუსებს შორის თემატიკის გადაფარვების აღმოფხვრის მიზნით გადახედა და განაახლა რიგი კურსები: მენეჯმენტის საფუძვლები, კომუნიკაციის მენეჯმენტი, PR და ბიზნესი, PR და რეკლამა, მარკეტინგის საფუძვლები. ასევე, რეკომენდაციების შესრულების მიზნით, მოხდა კურსების თემატიკის სახეცვლილება და რიგი საკითხების შევსება და გამრავალფეროვნება. მაგალითად, სასწავლო კურსს „PR და მედია ურთიერთობებს“ დაემატა ორი მიმართულება: მედია, როგორც PR-ის ინსტრუმენტი და საინფორმაციო ომები და პროპაგანდისტული ნარატივი. პროგრამაში ასევე გაძლიერდა სოციალური მედიის, მარკეტინგისა და მულტიმედიის სწავლება და შესაბამისი ცვლილებები შევიდა სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებში.

ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტისას შეფასდა სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომიბის ხარისხი. ამ მიზნით ექსპექტებმა დაათვალიერეს სტუ-ს ბიბლიოთეკა, თუმცა, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის დირექციის მხრიდან მზაობის არარსებობის გამო, ადგილზე ვერ მოხერხდა სავალდებულო ლიტერატურის სრულად შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა მოგვიანებით დეტალურად შეამოწმა სავალდებულო ლიტერატურის არსებობა ელექტრონული საძიებლის გამოყენებით და დარწმუნდა, რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის როგორც მატერიალური ისე, ხშირ შემთხვევაში, ელექტრონული სახით.

შესაბამისად, დადგინდა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები სასწავლო კურსებთან დაკავშირებით შესრულებულია უსდ-ს მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურიკულუმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შეხვედრები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უსდ-ს ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- უსდ-ს ბიბლიოთეკის დათვალიერება ვიზიტის დროს;
- უსდ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებელი - http://opac.gtu.ge/;
- სტუდენტური ელექტრონული პორტალის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უსდ-ს ბიბლიოთეკის ადმინისტრაციამ გამოიჩინოს მეტი მზაობა და უკეთ ითანამშრომლოს ექსპერტებთან, რაც როგორც უნივერსიტეტის რეპუტაციისთვის, ისე პროგრამის განვითარებისთვის იქნება მნიშვნელოვანი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამას განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. თუმცა, ამის შესახებ ინფორმაცია არ არის მკაფიოდ და სრულფასოვანად აღწერილი არც უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში და არც - უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში აღწერილი მოცემულობის თანახმად, „ბაკალავრიატის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის

მფლობელ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ (საბაკალავრო პროგრამა გვ:13).

პროგრამაში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელ სავალდებულო და არჩევით საგნებს აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტი, რომელსაც სურს საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა. აღნიშნული ინფორმაცია არ არის არც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში (https://gtu.ge/pdf/umaglesi_saganm_progra_katalogi.pdf) და რომც იყოს განთავსებული, პოტენციური სტუდენტისათვის ძნელად მისაკვლევი იქნება, რადგან აღნიშნულ ბმულზე განთავსებული პროგრამების კატალოგი 624 გვერდიანი დოკუმენტია.

გარდა ამისა, არც პროგრამაში და არც უმაღლესი სასწავლებლის ვებგვერდზე არ არის მოცემული ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა და ამისთვის არ სჭირდებათ ერტიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამა
- სტუ-ს ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ პროგრამაში, ასევე უსდ-ის ვებგვერდზე არსებულ საგნმანათლებლო პროგრამების კატალოგში, ჩანართში „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები“ დაკონკრეტდეს თუ რომელი სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩაბარება მოუწევთ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. გარდა ამისა, უმჯობესი იქნება, ამავე წყაროებში დაემატოს აღწერილობა იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ იმ პირებმა, ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აქვთ საგნმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგამდე არსებული სიტუაციის ანალიზი. 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, *„პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება. პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსი ემსახურება პრაქტიკული უნარების განვითარებას პრაქტიკული ქეისების შესწავლისა და განხილვის გზით. ასევე, პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკა იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.“* (გვ:13). ამავე დასკვნაში ყურადღებაა გამახვილებული საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსზე - *„პროგრამის დამამთავრებელ წელს სტუდენტები ასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს. ეს არის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი (სავალდებულო) კომპონენტი, რომელიც საჭირო კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება.“* (გვ:14). რეაკრედიტაციის ექსპერტებმა გასცეს ორი რჩევა - *„1. სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის განმახორციელებლების ჩამონათვალი; 2. სასურველია, დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და დაემატოს რეცენზირება.“*

2023 წლის 5 მაისს მონიტორინგის მიზნით მივლენილმა კომისიამ შეისწავლა უსდ-ს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ წარდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ უსდ-მ შეასრულა რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პირველი რჩევა და გააფართოვა იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც მზად არიან აღნიშული პროგრამის სტუდენტები უზრუნველჰყონ სტაჟირებისათვის აუცილებელი ადგილებითა და მენტორებით. კერძოდ, 2023 წელს პროგრამამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა ორგანიზაციებთან: *აიპ* „პიარ კლუბი“, შპს „რაციო“, შპს „*ფაბლისითი* ჯგუფი“. მემორანდუმებში განსაზღვრულია სემესტრულად მისაღები სტუდენტების ოდენობა. სამივე კომპანია მზადაა პრაქტიკისთვის მიიღოს 15 (ჯამურად -45) სტუდენტი, ამას ემტება 2020 და 2021 წლებში გაფორმებული მემორანდუმებიც (კიდევ 6 მემორანდუმი). ამდენად, პროგრამას მოძიებული აქვს საკმარისი ოდენობით სტაჟირების ადგილები. ამასთან ერთად, პროგრამაში არსებული პრაქტიკის სილაბუსი გამართულია და უზრუნველჰყოფს სტაჟირების პროცესის ზედამხედველობასა და შეფასებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი პრაქტიკის დღიურები. იმის გათვალისწინებით, რომ რეაკრედიტაციის ექსპერტების 2021 წლის დასკვნაში ყურადღება იყო გამახვილებული პრაქტიკის გავლის პროცესის დადასტურებასთან დაკავშირებით, მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებიც მიიჩნევენ, რომ პროგრამამ შემდგომ განმავითარებელ ანგარიშებში უნდა წარმოადგინოს იმ სტუდენტების პრაქტიკის დღიურები, რომლებმაც გაიარეს პროფესიული პრაქტიკა. მით უფრო, რომ პროგრამის სტრუქტურის მიხედვით პროფესიული პრაქტიკა სავალდებულოა.

საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით გაცემული რჩევა არ იქნა გათვალისწინებული. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების წესი უცვლელი დარჩა და არ დაჰმატებია რეცენზირების ქულა.

პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის გარდა პროგრამის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის აღნიშნული სხვა სახის აქტივობები, რომელიც ავითარებს სტუდენტთა პრაქტიკულ, კვლევით, ტრანსფერულ უნარებს. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, სამომავლოდ დაიგეგმოს ექსტრაკურიკულური აქტივობები - მაგალითად, საჯარო ლექციები სტრატეგიული კომუნიკაციების ცნობილ პროფესიონალებთან, სტუდენტური პროექტები, რომელიც მიმართული იქნება როგორც პროფესიული, ისე - ტრანსფერული უნარების განვითარებისაკენ, აგრეთვე - სასურველია, რომ პროგრამის სტუდენტებიდან ყოველწლიურად რამდენიმემ მაინც მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ, თუ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსები;
- უსდ-ს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან 2020-2023 წლებში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- უსდ-ს მიერ ცენტრისათვის 2023 წელს წარდგენილი დოკუმენტი - „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები (2022-2023 წწ.)“.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ პროგრამამ შემდგომ განმავითარებელ ანგარიშებში მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს იმ სტუდენტების პრაქტიკის დღიურები, რომლებმაც გაიარეს პროფესიული პრაქტიკა;
- დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების უფრო მეტად განსავითარებლად, სასურველია, სამომავლოდ დაიგეგმოს ექსტრაკურიკულური აქტივობები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგამდე არსებული სიტუაციის ანალიზი. 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში სწავლა-სწავლების მეთოდები შეფასებულია დადებითად, არ არის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები.

2023 წლის მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამა, პროგრამის სილაბუსები და მივიდნენ იმავე დასკვნამდე, რომ პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები გამართულია.

სილაბუსებზე დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ უსდ-ს სწავლა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით სტანდარტიზებული მიდგომა აქვს, კერძოდ, სილაბუსის ფორმაში შეთავაზებულია შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები:

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა)
- პრაქტიკული/ლაბორატორიული პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო/პროექტი
- კონსულტაცია
- დამოუკიდებელი მუშაობა

სილაბუსის ავტორმა ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებში უნდა მონიშნოს ის მეთოდები, რასაც იყენებს კურსის განმავლობაში. გარდა ამისა, თავად უნდა დააკონკრეტოს „სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები“, მაგალითად, დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative), შემთხვევების შესწავლა (Case study), დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია...

მონიტორინგის ექსპერტების დაკვირვებით თითქმის არცერთ სიალბუსში არ არის მითითებული ისეთი საბაზისო მეთოდი, როგორიცაა „წიგნზე მუშაობა“, აღნიშნული მეთოდი არც უსდ-ს მიერ შეთავაზებულ მეთოდებშია და არც - სილაბუსების ავტორების მიერ დაკონკრეტებულ „სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობებში“. ამასთან ერთად აღნიშნული მეთოდი არ არის უშუალოდ საგნმანათლებლო პროგრამის იმ ნაწილში, რომელიც სწავლა-სწავლების მეთოდებს აღწერს. შესაძლოა, აღნიშნული მეთოდი იგულისხმებოდეს „დამოუკიდებელი მუშაობის“ შიგნით, თუმცა მონიტორინგის ექსპერტთა აზრით, „წიგნზე მუშაობა“, როგორც ერთ-ერთი საბაზისო მეთოდი, სასურველია, რომ მითითებული იყოს ცალკეც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2021 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი რეაკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- „წიგნზე მუშაობა“, როგორც ცალკე მეთოდი, სასურველია, რომ მითითებული იყოს პროგრამაშიც და სილაბუსებშიც.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგის ვიზიტამდე არსებული სიტუაციის აღწერა - „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში (2022 წლის 17 დეკემბერი) აღნიშნულია, რომ „ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულია ერთიდაიგივე შეფასების კრიტერიუმები, რაც პრობლემურად გვესახება სასწავლო კურსების განსხვავებული ფორმატიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, შეუძლებელია სასწავლო კურსებში „ინგლისური ენა B1.2.” და “საზოგადოებასთან ურთიერთობა“ ან/და „სოციალური ფსიქოლოგია“ გამოიყენებდეს ერთნაირი შეფასების მეთოდები. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების დიფერენცირება და სასწავლო კურსის სპეციფიკაზე და სწავლის შედეგებზე მორგება“.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია:

- აუცილებელია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შერჩეულ იქნეს ყველა სასწავლო კურსისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების სპეციფიკის შესაბამისად;

რეკომენდაციების შესრულების შესახებ უსდ-მ 2023 წლის 12 იანვარს წარმოადგინა ანგარიში, ხოლო მონიტორინგის მიზნით მივლინებულმა ექსპერტებმა შეაფასეს რეკომენდაციის შესრულების ხარისხი. შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე გაიმართა შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან.

